

ახალი თაობა



akhali.taoba.ge

ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულები აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე დააკავეს



გვ. 5

პარასკევი, 8 ოქტომბერი, 2021

№189 (8718)

ფასი: 60 თეთრი

„რაში სჭირდება ივანიშვილს სააკაშვილი სიხეში, გაუგებარია“



გვ. 3

მამუკა გამყრელიძე: „თუ უნდა ივანიშვილს, რომ მას ჰყავდეს პირადი პატიმარი სააკაშვილი, ეყოლება. თუ უნდა, გააჩერებს რამდენიმე თვით, აჩვენებს ხალხს, რომ მას შეუძლია სააკაშვილის დასჯა, შემდეგ მოკიდებს ხელს და გაუშვებს უკრაინაში“



„გახარიათ ფანკლუბი არ ჰყავს“



გვ. 2

გია ხუბაშვილი: „საკაშვილმა შეცდომები დაუშვა... აქციებით რა უნდა გააკეთონ?! ციხეს აიღებენ?!“



გვ. 3

„გახარიათ ნაციონალურ და „ქართულ ოცნებასთან“ მოუწევს თანამშრომლობა“

ლევან ალაფიშვილი: „არ გამოვრიცხავ გახარიას წარმომადგენლებს საკრებულოს თავმჯდომარეებად“



„ქართულ ოცნებას“ და ნაცემოქრობას შორის დაპირისპირება იმიტირებულია“



გვ. 4



გვ. 5

შს მინისტრი ყაზახეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა



2 ზაალ უღუმაშვილი: „უახლოეს დღეებში დასახელდება კოალიციური მთავრობა“

4 რა შემთხვევაში შეიძლება გადადგას ღარიბაშვილი

5 „მიხეილ სააკაშვილი სარგებლობს ბელარუსორით“ პენიტენციური სამსახურის განცხადება

6 დმიტრო რაზუმიკოვი უკრაინის რადას სპიკარობიდან გადააყენეს

„რაში სჭირდება ივანიშვილს სააკაშვილი სიხეში, გაუბაბარია“

მამუკა გამყრელიძე: „თუ უნდა ივანიშვილს, რომ მას ჰყავდეს პირადი პატიმარი სააკაშვილი, ეყოლება. თუ უნდა, გააჩერებს რამდენიმე თვით, აჩვენებს ხალხს, რომ მას შეუძლია სააკაშვილის დასჯა, შემდეგ მოკიდებს ხელს და გაუშვებს უკრაინაში“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ჩატარებულ არჩევნებს? ყველა დიდ ქალაქში მეორე ტურია დანიშნული. ელოდით ასეთ შედეგს? რამ შეცვალა სიტუაცია? ბევრი სააკაშვილის ჩამოსვლას აბრალებს ამ ყველაფერს. ასეა?

– უდავოდ ასეა. სააკაშვილის ჩამოსვლამ გარკვეული სახით შეცვალა განლაგება. თუმცა ის, რომ მეორე ტურები ჩატარდება და კალაქში ვერ დააგროვა პირველ ტურში საკმარისი ხმები, ამაზე მხოლოდ სააკაშვილის ჩამოსვლას არ უმოქმედია. სააკაშვილის ჩამოსვლამ, ერთი მხრივ, დარაზმა მისი ამომრჩევლებს, მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, მოხდა კონსოლიდაცია „ოცნების“ ამომრჩევლისა.

– ისე გამოვიდა, რომ მაინც შუა გაიკრიფა?

– რა თქმა უნდა და სწორედ ეს არის ყველაზე ცუდი. მშვიდ სიტუაციაში კი „ოცნების“ და ნაციონალისტების ხმების გარკვეული ნაწილი დალაგდებოდა შუაში. ჩვენ ეს ვნახეთ საპარლამენტო არჩევნებზე, როდესაც უფრო ძლიერად იგრძნეს თავი ამ პატარ-პატარა პარტიებმა და გაიმყარეს პოზიციები.

– ახლა ვატილებით ცუდი შედეგი აჩვენებს.

– სამწუხაროდ, ასეა. პრაქტიკულად თავიდან არის დასაწყები მუშაობა. ერთადერთი პარტია, რომელმაც ასე თუ ისე თავი გამოიჩინა, ეს არის გახარის პარტია, მაგრამ ისიც,



ჩემი აზრით, ორჯერ მეტს ელოდებოდა და მანაც ძალიან ბევრი დაკარგა. აი აქედან გამომდინარე, მე ვივარაუდებდი, რომ ნაციონალურ მოძრაობას ძალიან გაუჭირდება მეორე ტურებში. გახარის პარტია საკმაოდ ბევრი ხმა აქვს აღებული და ამ ხმების დიდი ნაწილი წავა „ქართულ ოცნებაში“.

– „ოცნებას“ დაუჭერენ მხარს?

– რა თქმა უნდა, დაუჭერენ. ვერ ეს ერთი, მისი ელექტორატი „ოცნების“ ყოფილი ამომრჩეველია და მეორეც, გახარის ძალიან ნათლად აქვს ნათქვამი, რომ მას სურს დაამთავროს ნაციონალური მოძრაობა, აქტიურადაც უტყვის. ბიძინა ივანიშვილზე მას არც ერთხელ ცუდი არაფერი უთქვამს. აქედან გამომდინარე, მისი ამომრჩეველი შესაბამის არჩევანს გააკეთებს.

– რეგიონებში ნაციონალური მოძრაობა ლიდერობს და ფიქრობთ, რომ მაინც გაუჭირდებათ?

– განა რამდენიმე ლიდერობს? 2-3%-ით. დაირაზმება „ოცნების“ ამომრჩეველი და მისკენ გადავა გახარის ხმებიც. გახარის 5%-იც რომ დაემატოს „ოცნებას“, მაშინ ნაციონალურ მეტი გამოუვათ. ამიტომ ასე ვარდისფერი სათვალავით არ შეგვიდავი ნაციონალისტების პერსპექტივებს.

– მიხილ სააკაშვილის ჩამოსვლით იხიროთ თუ არა ბიძინა ივანიშვილმა და იყო თუ არა ეს მის ინტერესში?



„გახარის ნაციონალისტთან და „ქართულ ოცნებასთან“ მოუწევს თანამშრომლობა“

ლევან ალაფიშვილი: „არ გამოვრიცხავ გახარის წარმომადგენლებს საკრებულოს თავმჯდომარეებად“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობისთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, ხუთ თვითმმართველ ქალაქში არჩევნების მეორე ტურია. როგორ შეიძლება 30 ოქტომბრამდე მოვლენები განვითარდეს და რა შენსებები აქვს ოპოზიციას მეორე ტურში?

– ოპოზიციამ ადგილობრივ არჩევნებში წარმატებას მიაღწია. თუმცა, რაც შეეხება რეფერენდუმს, რომლის ფონზეც ჩაატარა მთელი წინასაარჩევნო კამპანია ოპოზიციამ, დამარცხდა.

რაც შეეხება იმ ხუთ თვითმმართველ ქალაქში დამდგარ შედეგებს, ეს ცალკეული წარმატება იძლევა საფუძველს, რომ პოლიტიკური პროცესი და მოცემულობა ცოტა განსხვავებულად განვითარდეს. აქ მხედველობაში მაქვს ორპოლუსიანობა, რომელიც, ცხადია, რჩება, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ცნობილია, მზად არის მრავალფეროვანი არჩევანი შესთავაზოს მეორე ტურში ამომრჩევლებს. ისინი მზად არიან ოპოზიციის კოალიციურად წარდგენს ამომრჩევლის წინაშე.

– ჩრდილოეთ კაბინეტზე საუბრობს ნიკა მელია.

– დიას. რიგ მუნიციპალიტეტებში „ქართული ოცნება“ მართო ვერ იქნება, ეს უკვე ცალსახაა. არათუ საკრებულოში ვერ იქნება უმრავლესობაში, მუნი-

ციპალიტეტის პირველი პირიც შესაძლებელია უკვე ოპოზიციიდან იყოს. რასაკვირველია, ეს არსებულ მოცემულობას მკვეთრად ცვლის. ეს უკვე ნიშნავს, რომ ახალ ეტაპზე გადავდივართ. ეს უკვე თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიყვანს ცენტრსა და მუნიციპალიტეტს შორის, ისევე, როგორც მუნიციპალიტეტს შორის არსებულ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებს.

– თქვენ ხშირად საუბრობდით გახარიაზე, მის პარტიაზე, რომელსაც შესაძლებელია ენ. ოქროს გასაღები ჰქონოდა. „ოცნებას“ და „ნაციონალური მოძრაობაც“ ფარულ მოლაპარაკებებს გვთავაზობენ თანამდებობებთან დაკავშირებით. როგორი როლი ექნება მას მთელ ამ პროცესში?

– გახარისა მოუწევს თანამშრომლობა. მიუხედავად იმ განცხადებისა, რაც გააკეთა,



მას შემდეგ, რაც შედეგები საბოლოოდ შეჯამდება, დარწმუნებული იყავით, სხვადასხვა ქალაქებსა თუ სოფლებში, მუნიციპალიტეტებში, სადაც გახარის გარეშე გადაწყვეტილება ვერ მიიღება, იქ თანამშრომლობა აუცილებლად იქნება.

მე არ გამოვრიცხავ გახარისა წარმომადგენლებს საკრებულოს თავმჯდომარეებად და ასევე სხვადასხვა პოსტებზე იმ პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ, რომელზეც გახარისა პარტია მიიღებს გადაწყვეტილებას.

– გახარია მიხვდა, რომ პოლიტიკური პროცესიდან გასვლა მის სანინაღმდეგოდ იმოქმედებს?

– არათუ მიხვდა, რომ მის სანინაღმდეგოდ იმოქმედებს, ძალიან მარტივია, თუ საკრებულოში ხარ, სხვა უნდა მისცე. მაშინ მანდატებზე უნდა თქვას უარი. თუ მანდატებზე არ ამბობს უარს, სხვა რა გზა რჩება?! ეს უკუპროცესია.

– თუმცა, გვახსოვს განცხადება – არც ერთს დაუჭერ მხარს და არც მეორეს. როგორც ჩანს, პოლიტიკური ალბან აქვს, რომ შეიძლება ამ პოზიციამ ძალიან ცუდი პოლიტიკური შედეგი მოუტანოს?

– ეს განცხადება, რომელიც პირველი ტურის შემდეგ გააკეთა, შეიძლება გაბრაზების მიზეზით იყო ან შეიძლება პოლიტიკური კვლევაც იყო, ზუსტად ვერ გეტყვით, რატომ გააკეთა ეს განცხადება. გახარისა სხვადასხვა ფორმატში მოუწევს თანამშრომლობა როგორც ოპოზიციასთან, მეტიც, „ნაციონალური მოძრაობასთან“ და „ქართულ ოცნებასთანაც“.



– რატომ? აღარ თვლიან მიშას ლიდერად?

– მობოზრდა ხალხს ქაოსი და დაპირისპირება. არა, სწორედ მიშას თვლიან ლიდერად, მაგრამ დაპირისპირებისგან დაილაღნენ. ურჩევნიან მივიდნენ, ხმა მისცენ და რაც გამოვა, გამოვა. გაიზარდა ქართული ამომრჩეველი, არჩევნებით ურჩევნიან ხელისუფლების ცვლილება და არა რევოლუციებით. მეორე საკითხია, რაში სჭირდება სააკაშვილის გაჩერება ციხეში, სრულიად გაუგებარია. პოლიტიკური თვალსაზრისით მისი გაჩერება „ქართული ოცნებისთვის“ არ არის სასარგებლო, ურჩევნიან, რომ გაუშვან. დეპორტაცია გაუკეთონ უკრაინაში.

– გაუშვებენ?

– მე ვეჭვი მაქვს, რომ სრულიად სხვადასხვაგვარი აზრებია „ქართულ ოცნებაში“ ამ საკითხთან დაკავშირებით. „ქართული ოცნება“ ერთგვაროვანი წარმონაქმნი არ არის. იქ არის როგორც პრორუსული, ისე პროდასავლური შეხედულებების ხალხი. გაჩნდა, ვისი პოზიცია გაიმარჯვებს. ზოგადად ყველაფერი ის იქნება, როგორც ივანიშვილისა უნდა. თუ უნდა ივანიშვილს, რომ მას ჰყავდეს პირადი პატიმარი, მას ეყოლება პირადი პატიმარი. თუ უნდა, გააჩერებს რამდენიმე თვით, აჩვენებს ხალხს, რომ მას შეუძლია სააკაშვილის დასჯა, შემდეგ მოკიდებს ხელს და გაუშვებს უკრაინაში და აუკრძალავს საქართველოში ჩამოსვლა. ეს მეორე ვარიანტი ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება „ოცნებისთვის“. აი რამდენად კარგი იქნება ნაციონალისტებისთვის, ამას ვერ გეტყვით.



– თუ ოპოზიციას დამაჯერებელი შედეგები ექნება თბილისში, შეიძლება საკრებულოს თავმჯდომარეობა მოითხოვოს?

– ვერ გეტყვით, შეიძლება ბათუმში, მაგრამ საკრებულოებში თანამშრომლობა რომ იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ.

– მიხილ სააკაშვილი უკვე ცხეშია, რა გავლენას იქონიებს მეორე ტურის შედეგებზე თუ არანაირს?

– არ მგონია იმაზე მეტი გავლენა იქონიოს, რაც უკვე ჰქონდა. ზოგადად რა გავლენაც იქონია არჩევნებზე სააკაშვილის ჩამოსვლამ საქართველოში, ამაზე მეტი გავლენა ვეღარ ექნება. მისი ჩამოსვლით „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ ამომრჩევლის კრისტალიზაცია, უფრო ზუსტად კი, აქტივაცია მოხდა. ელექტორატის ორივე ნაწილს მოტივაცია გაუჩნდა.

რაც შეეხება მეორე ტურებს, მეორე ტურის წინ, სააკაშვილი, დღეის მდგომარეობით, თუ რამე არ შეიცვალა, არ მგონია, ფაქტორი იყოს.

